

ხალხთა ქრონიკის ამგავს ვფარდი,
თბილისისთვის თამსა ვღებდი,
საიკეთებო არ დავხარდი,
აგღა, რასაც ვვადგამდი,
ხალხის გულში გადავდი,
თქვენთანა ვარ ალავერდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4
1963



№ 20 თბილისი ოქტომბერი. 1963
ნისუკი
გამოცემის 41-ე წელი, ფასი 20 კპვ.

ნათ. შ. ბერძენიშვილი

ინტერვიუ მონ ჟენერალთან

(უცხოელი ჟურნალისტის ბლოკნოტიდან)

მე არ ვეკუთვნი ჩვენი დროის იმ ჭარბფუტა ადამიანთა რიცხვს, რომლებიც პარიზში ჩასვლისას, წამსვე გარბიან ეიფელის კოშკისაკენ, ან სენის სანაპიროზე, მულენ რუჟში ან ლუვრში. მე მაინტერესებს ადამიანები. უფრო ზუსტად: სახელმწიფოს ხელმძღვანელები.

მაგალითად, ადამიანი, რომელსაც დღეს საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტი უკავია. დე გოლის აზრით, ჩვენი დროის დიდი პიროვნებაა. მას ხშირად ნაპოლეონს ადარებენ. მაგრამ ეს მცდარი აზრია! არც ტანით, არც ჭკუით და არც, რასაკვირველია, ცხვირით იგი არ ჰგავს პატარა კორსიკელს. მას უფრო მეტი პრეტენზიები აქვს.

ასეთ ადამიანთან ბაასს, მის ყოველ სიტყვას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არ შემიძლია არ გავაცნო მკითხველებს მასთან საუბრის შინაარსი.



პრეზიდენტის კოშკი

პრეზიდენტმა ელისეის სასახლეში მიმიღო.

— მონ ჟენერალ (ჩემო გენერალო)... — დავიწყე მე.

— თქვენთვის მე უბრალოდ შარლი ვარ... დაბრძანდით.

ღმერთო ჩემო! რა დემოკრატი კაცია! ასეთი უბრალოება? ახლა გასაგებია, თუ რატომ უყვართ ფრანგებს პრეზიდენტი იმდენად, რომ მზად არიან უარი თქვან სენატზე (რომელმაც გაფიცვების უფლების შეზღუდვის საკითხში ურჩობა გამოიჩინა), ეროვნულ კრებაზე და მრავალ უფლებაზე. ეს დიქტატურააო! — ამბობენ კომუნისტები. დე გოლი სულ სხვა აზრისაა: ის თვითონ (და მხოლოდ თვითონ!) არის დემოკრატიის განსახიერება.

პრეზიდენტის პირველმა სიტყვებმა გამამხნევა და მეც გავთამამდი. მხარზე ხელი დავკარი და დავიწყე:

— შარლ, მსოფლიოს საზოგადოებრიობას აინტერესებს ყველაფერი, რაც შეეხება თქვენს პიროვნებას და, უპირველესად ყოვლისა: რა მიზანს ისახავთ თქვენ ცხოვრებაში?

დე გოლი წელში გაიმართა და რატომღაც ჭერს ახედა.

— ჩემი მთავარი მიზანი — საფრანგეთის დიდებაა! — წამოიძახა მან ისეთი ტონით, რომ ჩემი თავი ნიურენბერგის პარტიტაგზე მეგონა.

— მაგრამ საფრანგეთი დღეს — ეს ხომ თქვენ ხართ! (პრეზიდენტმა თავმდაბლურად ჩაიციხა). — ამიტომ საფრანგეთის დიდება — ეს თქვენი დიდებაა. ხოლო რა არის ამისათვის საჭირო?

— მხოლოდ ერთი რამ: ატომბულის ან, უკიდურეს შემთხვევაში, თერმოატომბულის იარაღი.

— ბრავო! გენიალურია! აი გონიერების ხმა! — ვერ შევიკავე თავი. — აქამდე მეგონა, მთელი მსოფლიო შეიშალაო. ასზე მეტმა სახელმწიფომ მოაწერა მოსკოვის ხელშეკრულებას ხელი. თქვენ, როგორც ჩანს, ატომური იარაღის გაუქმების წინააღმდეგი ხართ.

— კმ. ასეთი პირდაპირობით ლაპარაკი ძნელია.

უნდა გაუწიოთ ანგარიში საზოგადოებრივ აზრს. ამიტომ, ჩვენ ვამბობთ, რომ პრინციპში დეატომიზაციის მომხრენი ვართ, მაგრამ დღეს ამას ორი ფაქტორი უშლის ხელს.

— სახელდობრ?

— არ შეიძლება გავაუქმოთ ის, რაც არ გავგანინია. ამიტომ ჯერ უნდა შევქმნათ საფრანგეთის ატომური ძალა და შემდგომ ვილაპარაკოთ მის გაუქმებაზე.

— ამბობენ, რომ ეს ტყუილად გადაყრილი ფულია და...

დე გოლის ირონიულმა ლიმილმა სიტყვა გამაწყვეტინა.

— საფრანგეთს თავისი უზა აქვს, — განაგრძობდა პრეზიდენტი. — ჩვენ ვერ გავყვებით თუნდაც ისეთ მეგობრებს, როგორც შეერთებული შტატები და ინგლისია, ჩვენ ანგარიშს უნდა გვიწვენენ, არა როგორც ამერიკის მეგობარს.. არამედ როგორც დამოუკიდებელ ატომურ ძალას.

— აქ მეც კი დავეკვილი:

— განა თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ისეთი ძალა, რომელიც ექვივალენტური იქნება საბჭოთა პოტენციისა? ულ მოკის აზრით, საფრანგეთის განადგურებისათვის საკმარისია 30 წყალბადის ბომბი. თქვენ რომ საბჭოეთს გაუტოლდეთ (და ეს პარადოქსი როდია), უნდა იყოთ 40-ჯერ უფრო მძლავრი.

— სისულელეა! მართალია, რუსეთს უკვე შეუძლია ერთი დარტყმით მოსკოს საფრანგეთი, მაგრამ, საპასუხოდ, ჩვენც უნდა შევქმნათ მათი რამდენიმე ქალაქის დანგრევა. ჩვენ აბსოლუტურ შიშს უნდა უპირისპირდებოდეს რუსების შედარებითი შიში.

— კი, მაგრამ...

— და, ბოლოს, ევროპის ინტეგრაცია, გაერთიანება...

— თქვენი მეთაურობით?

— მე ეს არ მითქვამს. ეს ადენაუერის აზრია. ჩვენ მას კიდევ შევისწავლით... მხოლოდ ისტორია შეაფასებს ჩვენს მოქმედებას...

მხოლოდ ახლა ვხვდებოდი პრეზიდენტის გენიალურ აზრს: საფრანგეთის დიდებისათვის საჭიროა ფრანგების ღმერთთან დაახლოება, მათი ზეცაზე ერთდროული გადასახლება. გაუგებარი რჩებოდა მხოლოდ ერთი რამ: რომელმა ისტორიკოსებმა უნდა შეაფასონ ამ მოქმედების სისწორე? ალბათ, მარსიელებმა.

უცებ გარედან ხალხის გუგუნი მოისმა. ორივემ მიჯამურეთ ფანჯარას. ცხადი იყო, რომ ხალხს საყვარელი პრეზიდენტის ნახვა წყუროდა. დე გოლმა კმაყოფილებით გადმოხედა მე და მითხრა:

— ასეთ წუთებში ძველი რომაელების ხმა მესმის: Ave Caesar. morituri te salutant. (სალამი, კეისარო, სასიკვდილოთ განწირულნი, გესალმებიან შენ!).

პრეზიდენტმა ფანჯარა გამოაღო. მართლაც მოგვესმა ხმა:

— არაფერი შეგეშალოს, მონ ჟენერალ! რომაელების ხმას არ ჰგავდა.

„სიონის ზღვა“ რომ დააგუბებს, ჩვენ მართლაც ზღვა სიხარული და გვეუფლა და ალტაცებისგან ჩვენი გულებიც „სიონის ზღვასა-ვით“ აღელდნენ. მაგრამ კაცის აზრი შუა გზაზე როდი შერდება: მიწას — წყალი ადამიანს — სინათლე! — დაადგინეს შესაბამისმა ორგანოებმა, დაადგინეს და მაშინვე ახლო მდებარე სოფლებში ელექტროდენის გადამცემი ბოძები ჩამოჭრივებს, სასწრაფოდ გაქიმეს ელდენის მავთულებიც, მაგრამ ზედ ნათურების ჩამოკიდება „დაავიწყდათ“ და, როცა გაახსენდათ, ელექტრობოძების ლაშქრის ნაწილი უქმად დგომასთან თავგანწირულ ბრძოლაში მამაცურად დაეცა „გმირთა სიკვდილით“, ხოლო სხვა ბოძები ჭერ კიდევ ფეხზე დგანან, როგორც შესაბამისი ორგანოს უმოქმედობის უტყვი მოწმენი.

ჩვენ კი, თიანეთის რაიონის სოფლების — ძირხვნიანის, ვევენტის, ჩეკურაანთგორის, ალოტის მცხოვრებნი, რომელთაც მეტსახელად „სიონის ზღვისპირელებიც“ კი შეგვარქვენ, რადგან ჩვენს კარბზე „სიონის ზღვა“ სტუმარივითაა მომდგარი, ველით ამჯერად არა დაპირებებს, არამედ საქმის ბოლომდე მიყვანას და გადარჩენილი ელექტრობოძებიც დგანან და... ელიან...

თიანეთის რაიონი ბ. შებეგაშვილი.

ძმარ ნიანგი

ოქამჩირის რაიონის სოფელ ზემოშაფელეს კაცი ვერაფრით ვერ გავაკვირებ. ჩამობრძანდით და თქვენი თვლით იხილავთ კეთილმოწყობილი ქუჩებს, შესანიშნავ ჩაის ფაბრიკას და ბევრს სხვას, მაგრამ ყველაფერს ამას დღისით უნდა შეხედო, რადგან ღამით, უსინათლოების გამო, ჩვენ თვითონაც ვერაფერს ვხედავთ და ჭრაქებისაგან სახეგამურულები ერთნეთისადაც კი ვეღარ ვცნობთ. უკვე ორი წელია, რაც სინათლისათვის ვიბრძვით. დაგვირდნენ, ახალ ქვესადგურს ავაგებთ და სინათლეს გექნებათო. ქვესადგური ააგეს, ფულიც შეაგროვეს მოსახლეობაში, მაგრამ სინათლის გამოყვანა კი დავიწყდათ, დაგვეხმარე, ძმარ ნიანგი, შემოშაფელეს და, სანამ თვალში სინათლე გვიდგია, შენი პატივისცემილები ვიქნებით.

ზემოშაფელეების სახელით შ. სანანი.

მეგობარო ნიანგი

ჩვენ გარდაბნის რაიონის სოფელ ოქროყანიდან გწერთ. სოფელს დღემდის არ გააჩნია კლუბი, რის გამოც ყველა კულტურული ღონისძიება ღია ცის ქვეშ ტარდება. ბევრჯერ მივმართეთ გარდაბნის რაიონულ საბჭოს თხოვნით. მაგრამ, როგორც ჩანს, თავს არ იწუხებენ. ალბათ ფიქრობენ, რომ ოქროყანის მოსახლეობამ კინოფილმების საყურებლად თბილისში უნდა იაროს. ახლა შენ გვეთხარი, ძმარ ნიანგი, სწორად გეჭრობენ? ჩვენ სოფელს თავისებური მოსიარულე ბიბლიოთეკაც



გააჩნია. ჭერ სკოლის შენობაში იყო მოთავსებული, შემდეგ ბიბლიოთეკის გამგემ იგი თავის სახლში გადაიტანა, ახლა კი მეზობლის სახლში იქნა გადატანილი. თქვენ რას გვირჩევთ, პატივცემულო ნიანგი, რა მოვუხერხოთ ბუნებრივ კლუბსა და მოსიარულე ბიბლიოთეკას?

მ. მებელიშვილი

ჩვენი ნიანგი

ქ. ცხაკაიაში, მშვიდობის ქუჩის II შესახვევის №2 მცხოვრები ლავრენტი გიორგის-ძე კორთხონჯია გაწუხებ. უკვე მეხუთე თვეა, რაც რკინიგზის სამმართველოს სახელზე განცხადება გავაგზავნე ქ. ცხაკაიაში გაუქმებული რკინიგზის გადასასვლელის აღდგენის შესახებ. ჩემი განცხადება აუყვანილია აღრიცხვაზე ნომრით 22-50 12/7-68 წელს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ დღემდის პასუხს ვერ ვეღარ ვიხსენებ. იქნება შენ მაინც მიპასუხო, ძმარ ნიანგი, კიდევ რამდენი თვის ღლიანი დამპირდება, რომ რკინიგზის სამმართველოდან ჩემი განცხადების პასუხი მივიღო.

პატივცემულო ნიანგი

გეცოდინება ბოლნისისა და ხუციშვილის ქუჩების ჭვარდიანზე სამიოდე წლის წინ პატარა სკვერი

რომ გააშენეს და, გულმავიწყობით, შემოღობვა რომ დაავიწყდათ. სკვერი ისე მოიტკეპნა, რომ სკვერად აღარ ივარგა, მაგრამ არც გამწვანების მუშაკები დაიბნენ, ხელმეორედ დარგეს ნერგები და ხელმეორედ დაავიწყდათ შემოღობვა. ისევ ბავშვებმა ივარგეს, ივარგეს და კვლავ ბურთის თამაში გააჩნდეს. ჩვენ მხოლოდ ისღა დავგრჩენია, დაველოდეთ, როდის გაჩანადება კიდევ სკვერი, რომ, იქნება, მესამედ მაინც არ დაავიწყდეთ მისი შემოფარგვა.

ს. ეფემიაშვილი.

სამშობლო ნიანგი

მოგესხება, რომ გეგეპკორის რაიონის სოფელ სალხინოს და მის მეზობლად მდებარე სოფელ დიდქუონს მდინარე ტეხურა ყოფს. ტეხურაზე გამშლია თუ გადებულია ხილი, რომელიც, როგორც ჩანს, ოდესღაც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. ახლა კი ამ ხილს ხილობას ვერ დააბრალებ. ზოგი ჭაჭვის ხილს ეძახის მას, ზოგი — ბოგირს, ზოგი — ბეწვის ხილს, მაგრამ, რაც მთავარია, ბევრი ვერ ბედავს მასზე გავლას, რადგან ამისათვის დიდი გამოცდილება და უნარია საჭირო. სალხინოს მცხოვრებთაგან ბევრი მუშაობს დიდიჭურის ჩაის საბჭოთა მეურ-

ნეობაში. ასევე დიდიჭურისადაც ბევრს უხდება სალხინოში სიარული და, უნდა განახა მათი-საცოდანობა. განსაკუთრებით ვარგისა ნახაობაა კვირადღეს, როდესაც კოლმეურნეები დიდიჭურის საკოლმეურნეო ბაზარში მიეშურებიან. მართალია ტეხურა თერგივით არ მოქმედებს და არაგვივით არ მოჩქვს, მაგრამ მისი ტალღების მსხვერპლი ბევრი გამხდარა ამ ბეწვის ხილის მეშვეობით. აგერ უკვე ათი წელია გვირდებია ტეხურაზე კაპიტალური ხილის აგებას, მაგრამ დღემდის ამ საქმეს არაფერი ეშველა. გვითხარი, ძმარ ნიანგი, ვის ეხება ამ საქმის მოგვარება და გვირჩიე როგორ მოვიქცეთ.

ბ. ბასილიანი

გაშობების ტალღის ნიანგი

ჩვენ, ბოლნისხეველები, გაწუხებთ... როდესაც სალხი შედარებას ახდენს რაიმე აუცილებლობასთან, ამბობს ხოლმე: — ისე იყო საჭირო, როგორც ჰაერი და წყალი... — აქედან გასაგებია, რომ ჰაერი და წყალი ერთნაირად აუცილებელი ყოფილა ადამიანის არსებობისათვის. ეს ჩვენ კი გავიგეთ და გვჩერა, მაგრამ ჩვენი რაიონის და სოფლის ხელმძღვანელობას არ ჭერა. 1957 წლამდე ჩვენც ისეთი უმეტრები ვიყავით, როგორც ისინი. მაგრამ 1957 წელს, ჩვენმა თანამემამულემ — ქალმა, ისე გააჩერა ქვეყანა, რომ ბოლნისხევის ბაზრის უბანს უღირსებელი ვადირსა და სამი ონკანი წყალი გამოგვიყვანა. თუმცა, ჩვენ ისეთი უმადურები გამოვედით, რომ მადლობაც არ გვითქვამს, მაგრამ ისღა ვილონეთ, რომ მისი სახელი შევარქვით და დოღოს წყალს ვეძახით.

ჩუხჩუხებდა წყალი და ემსახურებოდა 400-500 კომლს. რეცხვადნენ ჩვენი ქალებიც ზამთარ-ზაფხულ და ჭუჭუკებდნენ წყლისსიარას დამწკრივებულნი, სწორედ მაშინ ჩავვიქრეს სანთელი, როცა წყლის გემო გავიგეთ. ბედნიერებას მოკლე გზა ჰქონდა. ორი წელიწადი ვიტანებთ და ვერაფერს გავწყდით. ზემო მოზინადრებმა დაიწყეს მიღების ამოტევა და საკუთარი მოსტენების ურცხვად რწყვა. მიღებში კი ძველ ჩერებს ტენიდან. რამდენჯერმე მოგვისდა მიღების ამოყრა და გასუფთავება... ამ რთულმა სამუშაოებმა დაგვალა, მაინც არ გვეშველა, დღესაც მიღები ქვითა და ღორღითა გატენილი. ჩვენ კი 57 წლიდან გაუქმებული კოცები გამოვძინეთ და კვლავ ორი კოლომეტრიდან ვეზიდებით წყალს.

შენი ჩანგლის წვერის ჭირიმე, იქნებ შენ მაინც გვიპასუხო: მართლმადერებელი სპირტება ჰაერი და წყალი ადამიანს თუ არა? თუ საჭიროა, ჩვენი ხელმძღვანელები დაჭრეთ ამ ჭეშმარიტებაში. იქნებ მაშინ მაინც მოგვაქციონ უზარალებლა?

ჩიორა.

ნან. ირ. გორდელაძისა



„მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“ ეგ „ა“ კლასში დიდხანს გასძლებს!

№ 617 63

რედაქტორი ნ. შველიძე. საბრძოლველო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ქურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 21/X-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინი ქ. № 14. შეკვ. № 2243. უგ 12185. ტირაჟი 40.000



გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კვლავ იჩინა თავი „საქმემ ტელეფონების შესახებ“ — შინა-პოლიტიკური სკანდალი, რომელიც გამოწვეულია მოქალაქეთა ტელეფონით ლაბარაკის ფარულად ყურისგდებათ.

პოლიციური ტელეფონი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

